ფოლქსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული მოკლევადიანი კვლევითი სტიპენდიები შპაიერის (გერმანია) ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტში (2012 წ. მაისი – ივლისი)

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2011/2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტში 2–3 თვიანი კვლევითი სტიპენდიების მოსაპოვებლად.

კონკურში მონაწილეობის უფლება აქვთ თსუ იურიდიულ, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორანტებს, პოსტდოქტორანტებს და აკადემიურ პერსონალს, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ გერმანულ ან/და ინგლისურ ენას და რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია საჯარო სექტორთან.

აგრეთვე დაიშვებიან თსუ-სა და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები, რომელთაც განზრახული აქვთ თსუ-ს ან შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაში ჩარიცხვა და წარმოადგენენ ორმხრივი მოლაპარაკების დამადასტურებელ დოკუმენტს.

სტიპენდია ითვალისწინებს სტიპენდიატის გერმანიაში ცხოვრების, სწავლისა და მგზავრობის ხარჯებს.

სტიპენდიატებს 2–3 თვის განმავლობაში საშუალება ეძლევათ გაიღრმავონ ცოდნა როგორც გაზაფხლის სემესტრში შემოთავაზებულ ლექცია–სემინარებზე დასწრებით, ასევე შპაიერის უნივერსიტეტისა და ინდიანას უნივერსიტეტის საზოგადოებრივი და გარემოს დაცვის საქმეთა სკოლის („School of Public & Environmental Affairs“ SPEA) ერთობლივ საზაფხულო სემინარში – „საჯარო პოლიტიკა და მმართველობა გერმანიაში, ევროკავშირსა და ამერიკაში“ (“Public Policy and Administration in Germany, the European Union, and the United States“) მონაწილეობით, რომელიც შპაიერში ა/წ 07 მაისიდან 08 ივნისამდე ჩატარდება, ისევე როგორც მოიძიონ ბიბლიოთეკაში საჭირო მასალა და ადგილზე გაიცნონ გერმანელი პროფესორ-მასწავლებელები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- CV გერმანულ ან ინგლისურ ენაზე
- მოტივაცია გერმანულ ან ინგლისურ ენაზე
- დეკანის თანხმობა (ეხება მხოლოდ აკადემიურ პერსონალს)
- მაგისტრის დიპლომის ასლი (ეხებათ მხოლოდ დოქტორანტებს)

- დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- ორმხრივი მოლაპარაკების დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აპლიკანტის თსუ-ს ან შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაში ჩარიცხვის განზრახვას (ეხება მხოლოდ თსუ-სა და შპაიერის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს)
- გერმანული ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში)
- პასპორტის ასლი

<u>**საბუთების მიღების ბოლო ვადაა: 2012 წლის 21 მარტის 12 საათი**</u>

შესარჩევი კონკურსის (გასაუბრების) სავარაუდო თარიღია:

2012 წლის 23 მარტი

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების ჩასაბარებლად მიმართეთ ირინა გამყრელიძეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204).